**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**ეთიკის კომისია**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გაცემის თაობაზე**

**მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი** – ადვოკატი მ. ნ. /სიითი N/

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 11.10.2019

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 121/19

**საჩივარი შემოტანილია**: ადვოკატ ე. ფ.-ს /სიითი N/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ე. ფ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 11 ოქტომბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა მ. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ე. ფ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2018 წლის გაზაფხულზე ადვოკატ ე. ფ.-სთან ჰქონდა სატელეფონო საუბარი, სადაც შეუთანხმდა, რომ მის მიერ წარმოებულ საქმეზე, ადვოკატ ე. ფ.-ს უნდა ეწარმოებინა საქმე გაეროს კომიტეტში. ამის შემდეგ პირადად შეხვდა ადვოკატს სამსახურში (არასამთავრობო ორგანიზაცია „---“). შეხვედრისას, მან ადვოკატს გადასცა სისხლის სამართლის საქმის მასალები და ინგლისურ ენაზე ევროპულ სასამართლოში წარმოებული საქმის მასალები (კონკრეტულად - საჩივარი და ყველა კორესპოდენცია, რაც წლების განმავლობაში ჰქონდა გაგზავნილი). დოკუმენტების შეგროვებისათვის მას დასჭირდა დაახლოებით 2-3 კვირა და შემდეგ ეს მასალები გადასცა ადვოკატს.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ შეთანხმებით, ე. ფ. უნდა გაცნობოდა მასალებს და გაემზადებინა საჩივარი. ამის შემდეგ, ის არაერთხელ დაუკავშირდა ადვოკატს მის მიერვე მიცემულ ტელეფონის ნომრებზე, ე. ფ. მის ზარებს არასოდეს პასუხობდა. ამის გამო, ის წერდა ტექსტურ შეტყობინებებს. ამის შემდეგ მათ შორის შედგა კომუნიკაცია და ე. ფ.-მ განუმარტა, რომ არ იმყოფებოდა საქართველოში, იყო მივლინებაში და გაამზადებდა საჩივარს. ადვოკატი განმარტავს, რომ ე. ფ.-სთან კონტაქტი არის რთული და ის მუდმივად ამბობს, რომ იმყოფება შვებულებაში.

1.4 ადვოკატი მ. ნ. 2019 წლის 13 ნოემბერს დამატებით წარმოდგენილ თვალსაზრისში უთითებს, რომ ადვოკატ ე. ფ.-ს იცნობს წლების განმავლობაში. ადვოკატი ე. ფ. რომ არ დაპირებოდა განცხადების დაწერას, მას საბუთებს არ მიუტანდა და ამდენი დროის განმავლობაში არ დაელოდებოდა. თუ ადვოკატი ვერ ახერხებდა მისი, როგორც კოლეგის დახმარებას, შეეძლო ეს თავიდანვე ან მოგვიანებით ეთქვა და არ დაეღალატებინა. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ ე. ფ.-სთან მივიდა არა კლიენტთან, არამედ კოლეგა ადვოკატთან - შ. დ.-სთან ერთად.

1.5 2019 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე ადვოკატი განმარტავს, რომ ე. ფ.-ს ჰქონდა საქმე მოგებული გაეროს ადამიანის უფლებათა სასამართლოში. ადვოკატმა მასაც და შ. დ.-საც უთხრა, რომ მიეტანათ საქმის მასალები და მოამზადებდა განაცხადს. მაგრამ, აქვე უთხრა მას, რომ შ. დ.-ს არ იცნობდა და მას ვერ დაუწერდა საჩივარს ანაზღაურების გარეშე, რაზეც მან უპასუხა, რომ ეს საკითხი შეეთანხმებინა თავად შ. დ.-სთან. მას ე. ფ.-მ მოსთხოვა საქმის მასალები სრულად, რომლის მოძიებასაც დასჭირდა გარკვეული დრო. ამ დროს მათ შორის უკვე დაიწყო საადვოკატო საქმიანობა. ადვოკატი ეუბნებოდა, რომ საქმის მასალებს ჯერ ვერ გაეცნო, ხშირად არ პასუხობდა ზარებს, არ იყო საქართველოში. ადვოკატს მისთვის არ უთქვამს, რომ შვილი ჰყავდა ავად და ამის გამო ვერ შეისწავლიდა მის საქმეს. ადვოკატი მის საბუთებს არ გაეცნო თვების განმავლობაში - დაახლოებით 6-8 თვე, ამ დროის განმავლობაში აიმედებდა, რომ დაწერდა განცხადებას. მათ შორის კომუნიკაცია შეწყდა, ადვოკატი არ პასუხობდა ტელეფონზე, არ დაუბრუნებია საქმის მასალები, არც ის უთქვამს, რომ დოკუმენტს არ მოამზადებდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ე. ფ.-სთვის საქმის მასალების დაბრუნების მოთხოვნით არ დაურეკავს. ადვოკატი პრეტენზიას აცხადებს იმასთან დაკავშირებით, რომ ე. ფ.-ს მისი საბუთები ადმინისტრატორთან არ უნდა დაეტოვებინა, რათა სხვა პირს კონფიდენციალური მასალებზე წვდომა არ ჰქონოდა.

1.7 ადვოკატი განმარტავს, რომ მათ შორის საქმე მინდობილობის მიცემამდე არ მისულა, რადგან ადვოკატს საჩივარი არ დაუწერია.

1.8 ადვოკატ ე. ფ.-ს საჩივარი დღემდე არ გაუმზადებია და არც საქმის მასალებს უბრუნებს. ადვოკატმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება - არ შეადგინა საჩივარი, რის გამოც მას მიადგა ზიანი, ენდო ადვოკატს და დაკარგა დრო.

1.9 2021 წლის 26 მარტის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ის ძალიან ინტენსიური მოკითხვით არ აწუხებდა ე. ფ.-ს, რადგან გაეროს კომიტეტში არსებობს 5 წლიანი გასაჩივრების ვადა და მას დრო ჰქონდა.

1.10 დოკუმენტების მოძიებაში დახმარება მან სთხოვა ორგანიზაციის ხელმძღვანელს, კ. წ.-ს, რომლისგანაც მიიღო ინფორმაცია, რომ დოკუმენტების მოძიება ვერ მოხდა, რადგან ე. ფ.-ს დოკუმენტები გადასცა პირადად და არა კანცელარიის მეშვეობით. მას მასალები დღემდე არ მიუღია და დასჭირდა აღდგენა.

1.11 მომჩივანის განმარტებით, საჩივრის შეტანამდე ან შეტანის შემდეგ რომ გასაუბრებოდა ადვოკატი ე. ფ., შესაძლოა შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ მას ადვოკატი არ დაკავშირებია.

**2. საჩივრის ავტორის მოწმის შ. დ.-ის ახსნა-განმარტება**

2.1 2021 წლის 23 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ, ადვოკატმა შ. დ.-მ განმარტა, რომ ადვოკატ ე. ფ.-სთან მივიდა ადვოკატ მ. ნ.-სთან ერთად. ზეპირი ფორმით დადებული შეთანხმების თანახმად, ადვოკატი შეპირდათ, რომ დახმარებას გაუწევდათ გაეროს კომიტეტში. შეთანხმდნენ მომსახურების ღირებულებაზეც, რომელიც არ გადაუხდია, რადგან ადვოკატს ვეღარ ხვდებოდა. ე. ფ.-მ ის რამდენჯერმე მიიყვანა ოფისში, სადაც ხან ხვდებოდა და ხან არა. შეხვედრების დროს ყოველთვის პირდებოდა, რომ განაცხადს გააგზავნიდა გაეროს კომიტეტში.

2.2 მოწმე განმარტავს, რომ მან ადვოკატს გადასცა თავისი საქმის საბუთები, რომელსაც უნდა გაცნობოდა. აღნიშნული საბუთები მისთვის ადვოკატს არ დაუბრუნებია.

2.3 მოწმის განმარტებით, ის ადვოკატ ე. ფ.-სთან მივიდა დაახლოებით 4-5 ჯერ ადვოკატ მ. ნ.-სთან ერთად. ძირითადად, ადვოკატს ვერ პოულობდნენ და რთული იყო მასთან დაკავშირება. საბოლოოდ ადვოკატს როგორც მ. ნ.-ის, ისე მის საქმეზე არაფერი გაუკეთებია.

**3. ადვოკატის პოზიცია:**

3.1 ადვოკატმა ე. ფ.-მ 2019 წლის 28 ოქტომბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ არ ეთანხმება მ. ნ.-ის საჩივარს. ადვოკატი განმარტავს, რომ მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლში“. მის სამუშაო ადგილას გამოცხადდა ადვოკატი მ. ნ., რომელმაც მოითხოვა თავისთვის და თავისი კლიენტისათვის განაცხადის დაწერა გაეროს კომიტეტში წარსადგენად. მ. ნ.-ს განუმარტეს, რომ ამ ეტაპზე ოფისი მსგავს საქმეებზე არ მუშაობდა. ე. ფ. განმარტავს, რომ ამ დროს იმყოფებოდა ოფისში და პირადად ესაუბრა ადვოკატ მ. ნ.-ს, განუმარტა, რომ დროის სიმცირის გამო, ახალ საქმეებს არ იღებდა და ურჩია სხვა ადვოკატთან მისვლა.

3.2 მ. ნ. მაინც მოითხოვდა განცხადების დაწერას და ეუბნებოდა, რომ სხვა ოფისს და ადვოკატებს არ ენდობოდა. ამის შემდეგ მან განუმარტა, რომ იყო ჩართული სხვა პროგრამაში, ჰქონდა საკმაოდ დაძაბული გრაფიკი, ხშირი მივლინებებით მიდიოდა საზღვარგარეთ და ვერ დაეხმარებოდა განცხადების დაწერაში. მან მ. ნ.-ს და მის კლიენტს აუხსნა განაცხადის გასაგზავნად საჭირო წინაპირობები და სისტემა, თუ როგორ მუშაობდნენ გაეროს კომიტეტები. ამის შემდეგ, ისე რომ მისგან ნებართვა არ მიუღიათ, წავიდნენ და ადვოკატმა მ. ნ.-მ მას მაგიდაზე დაუტოვა მის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კლიენტის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი შუალედური მოსაზრებები და სთხოვა, რომ

გადაეხედა საბუთებისათვის და ეთქვა თავისი აზრი. ე. ფ. რამდენიმე დღის შემდეგ დაუკავშირდა და მოახსენა თავისი აზრი საქმესთან დაკავშირებით.

3.3 ადვოკატი მ. ნ. კიდევ ერთხელ მივიდა მასთან კლიენტთან ერთად და კვლავ სთხოვა კონსულტაციის გაწევა გაეროს კომიტეტებთან დაკავშირებით. მან ისევ გაუწია კონსულტაცია. ამის შემდეგ ადვოკატმა სთხოვა განაცხადის დაწერა და განუმარტა, რომ საქმის მოგების შემთხვევაში, მისცემდა კომპენსაციის 10%-ს. ე. ფ.-მ კვლავ აუხსნა, რომ დატვირთული რეჟიმის გამო, განაცხადს ვერ შეუდგენდა.

3.4 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატმა მ. ნ.-მ მას დაურეკა და უთხრა, რომ უნდა გაატანოს საქმის მასალები, რადგან ეს სჭირდებოდა მის კლიენტს. ისინი შეთანხმდნენ დროზე, როცა ე. ფ.-ც ოფისში იქნებოდა, მ. ნ. ამ დღეს მასთან ოფისში არ მისულა. ამის შემდეგ მან საბუთები გადასცა ოფისის ადმინისტრატორს და ადვოკატ მ. ნ.-ს განუმარტა, რომ მისი არ ყოფნის შემთხვევაში, შეეძლო საბუთები წაეღო ადმინისტრატორისაგან.

3.5 ადვოკატი განმარტავს, რომ მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ თანამშრომლებმა უთხრეს, რომ ადვოკატი მ. ნ. ოფისში რამდენჯერმე იყო მისული და ბრაზდებოდა მისი არ ყოფნის გამო. ამის შემდეგ ერთხელ პირადად ესაუბრა ადვოკატს, უთხრა, რომ მსგავს საქმეებს აღარ იღებდნენ, ეს იყო დაახლოებით 2017 წლის აგვისტო-სექტემბერი. მათ ბოლო საუბარი ჰქონდათ 2017 წლის ნოემბერში, რა დროსაც მ. ნ.-მ ისევ უთხრა, რომ აპირებდა მასთან საბუთებით მისვლას განცხადების დასაწერად, ე. ფ.-მ კვლავ აცნობა, რომ დრო არ ჰქონდა, რაშიც ადვოკატი მ. ნ. თავადაც არაერთხელ დარწმუნდა.

3.6 ადვოკატი განმარტავს, რომ ამის შემდეგ მას ადვოკატი მ. ნ. აღარ დაკავშირებია. მის ცხოვრებაში დაიწყო რთული პერიოდი, რადგან მის შვილს აღმოაჩნდა ჯანმრთელობის პრობლემა, რის გამოც იშვიათად ჩნდებოდა საჯარო შეხვედრებზე.

3.7 ადვოკატი განმარტავს, რომ მას დოკუმენტის მომზადების ვალდებულება არ აუღია, მასსა და მ. ნ.ს შორის არც ხელშეკრულება და არც მინდობილობა გაფორმებულა.

3.8 2019 წლის სექტემბერში მას დაუკავშირდა მათი ოფისის გამგეობის თავმჯდომარე და უთხრა, რომ ადვოკატი მ. ნ. ითხოვდა საბუთების დაბრუნებას, რაზეც მან განუმარტა, რომ საბუთები დიდი ხნის წინ ჰქონდა დაბრუნებული. ამის შემდეგ შეიტყო, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მ საჩივრით მიმართა ეთიკის კომისიას.

3.9 2020 წლის 16 იანვრის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მისი პოზიცია, რომ განაცხადი თავად დაეწერა და ის რჩევებს მისცემდა, არ აკმაყოფილებდა ადვოკატ მ. ნ.-ს. ის ადვოკატ მ. ნ.-ის ადვოკატი არ ყოფილა.

3.10 ადვოკატი განმარტავს, რომ საქმის მასალები დაუტოვა ადმინისტრატორს ადვოკატ მ. ნ.-ისათვის გადასაცემად, რადგან მიდიოდა მივლინებაში. როდესაც დაბრუნდა მივლინებიდან საბუთები მოიკითხა და პასუხი მიიღო, ჯერ არ წაეღო, ამის შემდეგ კიდევ წავიდა მივლინებაში და დაბრუნებისას როდესაც მოიკითხა, უთხრეს, რომ შ. დ.-მ წაიღო. საბუთები იყო შ. დ.-ის, მ. ნ.-ის იყო მხოლოდ შუალედური გადაწყვეტილება. ადვოკატი განმარტავს, რომ მ. ნ.-ის საქმის მასალები სრული სახით არ ჰქონია და რაც ჰქონდა, ის მ. ნ.-მ წაიღო.

3.11 ადვოკატმა მონაწილეობა არ მიიღო 2021 წლის 26 მარტს, 23 ივნისს და 15 ივლისს ჩანიშნულ განხილვის კოლეგიის სხდომებში და 25 მარტს წარმოადგინა წერილობითი პოზიცია, სადაც განმარტა, რომ მან თავდაპირველად ურჩია სხვისთვის მიემართა, რადგან გაეროს კომიტეტში საქმის წარმოება მოითხოვდა დიდ დროს და რესურს, რაც თავად არ გააჩნდა. იგივე პასუხი გასცა შ. დ.-ს.

**4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

4.1 2020 წლის 11 მარტს, მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ე. ფ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ე. ფ.-მ კლიენტს მ. ნ.-ს არ გაუწია შეთანხმებული მომსახურება და მასთან კომუნიკაცია იყო გართულებული, ასევე, არ დაუბრუნა საქმის მასალები, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით შესაძლოა ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5 (ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5, 8.6 და 8.15, რაც დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველია.

**II სამოტივაციო ნაწილი**

**5. საქმის ფაქტები:**

5.1 უდავო ფაქტები:

5.1.1 ადვოკატ მ. ნ.-სა და ადვოკატ ე. ფ.-ს თანდაპირველად ჰქონდათ სატელეფონო კომუნიკაცია, რის შემდეგაც პირადად შეხვდნენ ერთმანეთს ადვოკატ ე. ფ.-ს სამუშაო ადგილას (არასამთავრობო ორგანიზაცია „---“) სასაუბროდ.

5.1.2 მხარეთა შეხვედრას ესწრებოდა ადვოკატი შ. დ.-ც.

5.1.3 ადვოკატმა ე. ფ.-მ მიიღო საქმის მასალები: მ. ნ.-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება და კლიენტის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში გაგზავნილი შუალედური მოსაზრებები.

5.2 სადავო ფაქტები:

5.2.1 მხარეთა შორის დაიწყო ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა.

მოპასუხე ადვოკატი ადასტურებს, რომ მან განმცხადებელს გაუწია კონსულტაცია გაეროს კომიტეტში განაცხადის შესადგენად საჭირო წინაპირობებზე და გაეროს კომიტეტების მუშაობის სპეციფიკაზე. კოლეგიის შეფასებით, აღნიშნული ადასტურებს, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა ადვოკატ კლიენტის ურთიერთობა.

5.2.2 მხარეთა შორის იყო კომუნიკაციის პრობლემა, სადავოა ადვოკატმა ე. ფ.-მ აიღო თუ არა ვალდებულება მოემზადებინა განაცხადი გაეროს კომიტეტში წარსადგენად.

ადვოკატ მ. ნ.-ის პოზიციით, ადვოკატმა ე. ფ.-მ აიღო ვალდებულება, რომ მისთვის მოემზადებინა განაცხადი გაეროს კომიტეტში წარსადგენად. მომჩივანი ადვოკატის პოზიცია გამყარებულია მისი მოწმის, ადვოკატ შ. დ.-ის განმარტებით. ადვოკატი ე. ფ.

უარყოფს, რომ აღნიშნული ვალდებულება აიღო. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმება არ გაფორმებულა. ფაქტის დადგენისათვის კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ მომჩივანი არის პროფესიით ადვოკატი მრავალი წლის პროფესიული გამოცდილებით, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ე. ფ.-ს მიერ მისთვის განაცხადის შედგენაზე უარი იქნებოდა ნათლად და მკაფიოდ გაცხადებული, მათ შორის კომუნიკაცია წლების განმავლობაში არ გაგრძელდებოდა და მომჩივან ადვოკატს განაცხადის დაწერის მუდმივი მოლოდინი არ ექნებოდა.

კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. ფ.-ს მიერ ადვოკატ მ. ნ.-სთან კომუნიკაცია იყო არასრულყოფილი, დროში წყვეტილი და შესაბამისად, არაჯეროვანი. რამაც გამოიწვია ის შედეგი, რომ ადვოკატ ე. ფ.-ს ნების შესახებ - არ მოემზადებინა განაცხადი, არ იყო ინფორმირებული კლიენტი, ადვოკატი მ. ნ..

5.2.3 ადვოკატმა ე. ფ.-მ კლიენტს არ დაუბრუნა მისი საქმის მასალები.

მხარეთა პოზიციები ამ საკითხზე განსხვავებულია, ადვოკატი ე. ფ. კონკრეტულად უთითებს, რომ განმცხადებელმა მას დაუტოვა თავის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება და კლიენტის, ასევე ადვოკატის, შ. დ.-ის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი შუალედური მოსაზრებები. ხოლო აღნიშნული დოკუმენტები ადმინისტრატორის მეშვეობით დაუბრუნა განმცხადებელს. ზეპირი განმარტების გაკეთებისას ადვოკატმა მიუთითა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება საჯარო დოკუმენტია და ნებისმიერ პირს შეუძლია მისი ამობეჭდვა. მომჩივანი უთითებს, რომ მას დოკუმენტები არ მიუღია, ამას ადასტურებს მომჩივანის მოწმე - ადვოკატი შ. დ.. შესაბამისად, კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატ ე. ფ.-ს მომჩივანისათვის მის საქმეზე მიღებული დოკუმენტაცია უკან არ დაუბრუნებია.

## 6. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ე. ფ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

## 7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით ადვოკატ ე. ფ.-ს მიერ დარღვეულია კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ეთიკური ვალდებულება.

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან; ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

7.2 „ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან იწყება“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N027/11).

7.3 „ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N096/11).

7.4 „კლიენტის ინფორმირების ვალდებულება უშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, რომ ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N066/10).

7.5 ადვოკატი ადასტურებს, რომ მან განმცხადებელს გაუწია კონსულტაცია გაეროს კომიტეტში განაცხადის შესადგენად საჭირო წინაპირობებზე და გაეროს კომიტეტების მუშაობის სპეციფიკაზე. აღნიშნული იძლევა იმის საფუძველს, რომ დადგინდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობა (პარ. 5.1.1, 5.1.2). ადვოკატმა ე. ფ.-მ მიიღო საქმის მასალები: მ. ნ.-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება და კლიენტის (ადვოკატ შ. დ.-ის) საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში გაგზავნილი შუალედური მოსაზრებები (პარ. 5.1.3).

7.6 საქმის მასალების მიღების შემდეგ, მომჩივანი ადვოკატ ე. ფ.-ს ვერ უკავშირდებოდა, რადგან ე. ფ. ხშირად იყო მივლინებით საზღვარგარეთ, არ პასუხობდა მის ზარებს და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. საჩივრის ავტორი თვების განმავლობაში იმედოვნებდა, რომ ე. ფ. მოამზადებდა განაცხადს. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ე. ფ.-მ ობიექტური მიზეზების გამო (ხშირი მივლინებები, შვილის ავად ყოფნა) ვერ შეძლო ადვოკატ მ. ნ.-ის მომსახურება, თუმცა მას ამის თაობაზე ინფორმაცია მ. ნ.-ისათვის არ მიუწოდებია (პარ. 5.2.2). კომუნიკაციის პრობლემამ მომჩივანს შეუქმნა მოლოდინი, რომ ადვოკატი მოუმზადებდა განაცხადს და მან დაკარგა დრო. შესაბამისად, ე. ფ.-ს მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირებისა ვალდებულება.

7.7 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ე. ფ.-ს მიერ დარღვეულია კლიენტისათვის საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

7.8 „ადვოკატმა, იურიდიული მომსახურების შეწყვეტისას კლიენტს უნდა დაუბრუნოს მისთვის გადაცემული და მის მიერ, დამოუკიდებლად მოპოვებული დოკუმენტები, ასევე, კოლეგია კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ რეკომენდირებულია, როგორც პროფესიონალმა, ადვოკატმა შეადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და წერილობით დააფიქსიროს კლიენტის მიერ მისთვის რაიმე სახის

დოკუმენტის გადაცემა და დაბრუნება“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N006/16).

7.9 „კლიენტისათვის დოკუმენტის დაბრუნებაზე უარს არ გააჩნია მიზეზი, რადგან ისინი და მასში მოცემული ინფორმაცია კლიენტის საკითხია და მას ეკუთვნის, დოკუმენტები კლიენტის მიერ მოწოდებული, ადვოკატის მიერ მოპოვებული ან ადვოკატის მიერ დამუშავებული საკითხის იურიდიული სახე ან ფორმაა, რომლის დანიშნულება ან ღირებულება კლიენტის კანონიერ ინტერესს ემსახურება“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N103/13).

7.10 „კლიენტისათვის დოკუმენტაციის დაბრუნების მტკიცების ტვირთი ეკისრება ადვოკატს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N065/14).

7.11 საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ე. ფ.-მ კლიენტს არ დაუბრუნა მისი საქმის მასალები (პარ. 5.2.3), რითიც მან დაარღვია სამის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების პროფესიული ვალდებულება.

7.12 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ე. ფ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - კლიენტის ინფორმირებისა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი მუხლი 8.6) და საქმის მასალების დაბრუნების ეთიკური ვალდებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15), რის გამოც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

7.13 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

7.14 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

7.15 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

7.16 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

7.17 ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, ზიანს, ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

7.18 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

7.19 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N121/19 ადვოკატ ე. ფ.-ს მიმართ /სიითი N/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/